ოქმი:**ო05.37210461**
თარიღი:**15/02/2021**

№ 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2020 წელი, 12 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

17.00-18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ვლ. ბერიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე, ბ.დოლიძე, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, თ.ბურჭულაძე, ტ.მგელაძე, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, პ.კიღურაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების საკითხის სრულყოფის მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ვალოდია ბერიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ვალოდია ბერიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალოდია ბერიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალოდია ბერიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვალოდია ბერიძე

სხდომის გახსნამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ კომისიის წევრებს განუცხადა, რომ კომისიის თავმჯდომარე ე. გორდელაძე მოულოდნელად გახდა ავად, გარკვეული დროის მანძილზე ვერ განახორციელებს თავის უფლებამოსილებას, მას კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება კომისიის წევრებიდან არავისთვის დაუვალებია, ამდენად, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობა უნდა შეასრულოს უხუცესმა წევრმა. ვ. ჩიგოგიძემ უარი განაცხადა მოვალეობის შესრულებაზე, ამიტომ მოვალეობა უნდა შეასრულოს კომისიის წევრმა ვლ. ბერიძემ, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. შემდეგ ვ. ბერიძე შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას და დაიწყეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-N1 საკითხზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების საკითხის სრულყოფის მიზანშეწონილობის შესახებ“ განაცხადა, რომ დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით. N2 საკითხზე - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ“ - მომხსენებელმა განაცხადა, რომ ისიც ინიცირებულია საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის მიერ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით. მომხსენებელმა შემდეგ კომისიის წვრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი N3, 4, 5 საკითხები: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“-ამ საკითხებზე იმსჯელეს კომისიის წევრებმა და მხარი დაუჭირეს მათ წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი 5-ვე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ვალოდია ბერიძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი